



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის
სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების
სააგენტოს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030227369567917

02-1624/ო

08 / აგვისტო / 2017 წ.

სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს კანონის “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” (თავი V, მუხლი 22, პუნქტი 6, პუნქტი 7, ქვეპუნქტი ა) შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შ.პ.ს. „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“-ზე (მის: ხარაგაულის რაიონი, სოფელი ბორითი) გაცემული „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ლიცენზია“ - სალიცენზიო მოწმობა N002169, ბრძანება N02-1239/ო, 03.09.2014წ.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი N6).
3. ბრძანება ძალაში შედის ხელისმოწერისთანავე.

საფუძველი: შ.პ.ს. „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“-ს დირექტორის ნ. ბოლქვაძის განცხადება: N70218 06.07.2017წ.

სააგენტოს უფროსი

გია თვალავაძე